№01/01 8.01.2026

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიას

შპს „სამაუწყებლო კომპანია მეცხრე ტალღა“-ს წლიური ანგარიში
2025 წელი

შპს „სამაუწყებლო კომპანია მეცხრე ტალღა“-მ მაუწყებლობის ლიცენზია მიიღო 1998 წელს, იგი მაუწყებლობს საქართველოს კანონმდებლობის, ავტორიზაციის პირობების და ქცევის კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად. საანგაროშო წელს ეთერში ყოველ სამუშაო დღეს გადიოდა საინფორმაციო გამოშვება „კურსორი“, კვირაში ერთხელ კი თოქშოუ.

საქართველოს მაუწყებელთა ალიანსის დახმარებით ვთანამშრომლობთ რამდენიმე ქართულ სტუდიასთან და საერთაშორისო ორგანიზაციასთან. მათი დახმარებით ჩვენს ეთერში გადის ყოველკვირეული სატელევიზიო ჟურნალი „სათვალე“.“ლაპარაკობს მოსკოვი“, სატელევიზიო ჟურნალი „ნამდვილი დრო“, „სტუდია რე“-ს დიასკუსიები, “დოიჩე ველეს“ პროგრამები.

ფუნქციონირებს და მუდმივად განახლებადია ჩვენი ვებ, იუთუბ და ფეისბუქ გვერდები (**www.nwbc.ge; https://www.youtube.com/user/nwbctv https://www.facebook.com/nwbctv**), რომლებზეც ხდება ჩვენს მიერ წარმოებული ყველა პროდუქტის განთავსება.
ჩვენი მაუწყებლობა ვრცელდება საკუთრი მულტიპლექსის მეშვეობით ფოთისა და მიმდებარე რაიონების მასშტაბით, ასევე მაგთის IPTV -ს, შპს „ტელეკომ 1“ (ს/კ 405374063)-ისა
და myvideo.ge -ს საშუალებით,

ჩვენი კომპანიის დაფინანსების წყაროებია:
- სატელევიზიო რეკლამების დამზადება-განთავსება
- საეთერო დროის გაქირავება (გადაცემის მომზადება – გაშვება)
- განცხადებების განთავსება
- მორბენალი სტრიქონი
- წინასაარჩევნო რეკლამების ეთერში განთავსება
- სპონსორული დახმარებები

პატივისცემით
გერმანე სალია
დირექტორი